შპს ,,უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი”-ის კოლეჯის დირექტორის

N# 251210/01 ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

10.12.2025 წელი

ქ.თბილისი

შპს ,,უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი”-ის კოლეჯის

ეთიკის კოდექსის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის და 52-ე მუხლის საფუძველზე, საუკეთესო სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად, ასევე კოლეჯში მოქმედი შიდა ნორმატიული დოკუმენტების განახლების, ჰარმონიზაციისა და ავტორიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად,

ვბრძანებ:

1. ეთიკის კოდექსის განახლებული რედაქციის დამტკიცება

დამტკიცდეს შპს „უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი“-ს კოლეჯის ეთიკის კოდექსის განახლებული რედაქცია, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ბრძანების ამოქმედება

ბრძანება ძალაში შედის წერილობით გაცნობის დღიდან.

3. გასაჩივრება

ეს ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტს და შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში.

შპს ,,უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი”-ის კოლეჯის

დირექტორი (მინდობილობა N#N230037196) დავით მაზმიშვილი

შპს „უსაფრთხოების აკადემიის სასწავლო ცენტრი“-ს კოლეჯი

ეთიკის კოდექსი

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი

1.1 ეთიკის კოდექსის მიზანია:
1.1.1 კოლეჯში პროფესიული, უსაფრთხო და ღირსებაზე დაფუძნებული გარემოს უზრუნველყოფა;
1.1.2 ეთიკური ქცევის ერთიანი სტანდარტის დამკვიდრება;
1.1.3 დისციპლინური პასუხისმგებლობის მკაფიო სამართლებრივი ჩარჩოს განსაზღვრა;
1.1.4 ორგანიზაციის სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა.

1.2 აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე კოლეჯი უზრუნველყოფს:

1.2.1 კოლეჯში დისციპლინის დამკვიდრებას და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნას;
1.2.2 განსაზღვროს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების მისაღები ქცევის წესებს კოლეჯის საქმიანობისა და სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის უზრუნველსაყოფად;
1.2.3 უზრუნველყოფს კოლეჯში პოზიტიური, უსაფრთხო და სწავლებისთვის ხელსაყრელი აკადემიური გარემოს ჩამოყალიბებას.

1.3 **კოლეჯის პროფესიული სტუდენტები ვალდებულნი არიან დაიცვან აღნიშნული ეთიკის კოდექსი. კოდექსის დაცვა მნიშვნელოვანია:**
1.3.1 პროფესიული განათლების ძირითადი მიზნების ეფექტურად განხორციელებისათვის;
1.3.2 კოლეჯის მიმართ საზოგადოების ნდობის, ავტორიტეტისა და პრესტიჟის განმტკიცებისა და შემდგომი ამაღლებისათვის.

მუხლი 2. კოდექსის მოქმედების ფარგლები და სამართლებრივი საფუძველი

კოდექსი ვრცელდება:

- პროფესიულ სტუდენტებზე;

კოდექსი წარმოადგენს კოლეჯის შიდა ნორმატიულ აქტს და სავალდებულოა შესრულებისთვის.

მუხლი 3. კოდექსი შემუშავებულია:
3.1. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის;
3.2. კოლეჯის წესდებისა და შიდა დებულებების;
3.3. კოლეჯის შინაგანაწესის;
3.4. პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსისა და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტების საფუძველზე.

კოდექსი წარმოადგენს კოლეჯის შიდა რეგულაციის განუყოფელ ნაწილს და სავალდებულოა მის იურიდიულ ძალაში ყოფნის პერიოდში.

მუხლი 4. კოდექსის დანიშნულება

ეთიკის კოდექსის დანიშნულებაა:
4.1. კოლეჯის პროფესიული სტუდენტების საქმიანობის ეთიკური პრინციპების განსაზღვრა;
4.2. ქცევის ნორმებისა და ურთიერთობების ეთიკური სტანდარტების ჩამოყალიბება;
4.3. ურთიერთპატივისცემაზე, სამართლიანობასა და კეთილსინდისიერებაზე დაფუძნებული თანამშრომლური კულტურის დამკვიდრება.

თავი II. ძირითადი ეთიკური პრინციპები

მუხლი 5. ძირითადი პრინციპები

კოლეჯში ურთიერთობები ეფუძნება:

- კანონიერებას
- პატივისცემას
- სამართლიანობას
- პროფესიულ დისტანციას
- პასუხისმგებლობას
- არადისკრიმინაციას

მუხლი 6. პროფესიული სტუდენტი

6.1. პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) პატივი სცეს კოლეჯს, სადაც ის იღებს განათლებას;

ბ) დაიცვას ეთიკის კოდექსი, კოლეჯის წესდება, შინაგანაწესი და კოლეჯის სხვა შიდა ნორმატიული აქტების მოთხოვნები.

6.2. პროფესიული სტუდენტი პატივს სცემს კოლეჯის ყველა კატეგორიის პერსონალის წარმომადგენელს.

პრობლემის ან კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევაში მისი გადაჭრა უნდა მოხდეს კოლეჯის წესდების, შინაგანაწესის, ამ კოდექსისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3. პროფესიულ სტუდენტს არ აქვს უფლება:

ა) შეურაცხყოფა მიაყენოს კოლეჯის პერსონალს ან სხვა სტუდენტს, გამოიყენოს ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სხვა ტიპის ძალადობა;
ბ) პირადი სარგებლის სანაცვლოდ შესთავაზოს ან მოსთხოვოს სხვა სტუდენტს, პერსონალს ან მესამე პირს რაიმე სახის უპირატესობა, სარგებელი ან სასარგებლო ქმედება.

თავი III. ეთიკის დარღვევის კლასიფიკაცია

მუხლი 7. დარღვევის სახეები

დარღვევები იყოფა:

7.1. მსუბუქი გადაცდომა

7.1.1. არაკორექტული ტონი;

7.1.2. პროცედურული დაუდევრობა.

7.2. საშუალო სიმძიმის გადაცდომა

7.2.1. განმეორებითი შეურაცხმყოფელი ქცევა;

7.2.2. პროფესიული დისტანციის დარღვევა;

7.2.3. ადმინისტრაციის საჯარო დისკრედიტაცია.

7.3. მძიმე გადაცდომა

7.3.1. ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა;

7.3.2. სექსუალური შევიწროება;

7.3.3. მუქარა;

7.3.4. კოლეჯის რეპუტაციის მიზანმიმართული დაზიანება;

7.3.5. უსაფრთხოების წესების შეგნებული დარღვევა.

თავი IV. დისციპლინური პასუხისმგებლობა

მუხლი 8. სტუდენტის მიმართ სანქციები

8.1. სიტყვიერი გაფრთხილება

8.2. წერილობითი გაფრთხილება

8.3. შენიშვნა პირად საქმეში

8.4. სტატუსის დროებითი შეჩერება

8.5. სტატუსის შეწყვეტა

სანქცია უნდა იყოს პროპორციული დარღვევის სიმძიმესთან.

თავი V. დისციპლინური წარმოება

მუხლი 9. წარმოების დაწყება

წარმოება იწყება:

9.1. ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით

9.2. ოფიციალური წერილობითი განცხადების საფუძველზე

მუხლი 10. პროცედურა

10.1. მხარეს ეცნობება წერილობით

10.2. ეძლევა განმარტების წარდგენის უფლება

10.3. იკრიბება დისციპლინური კომისია

10.4 ფასდება მტკიცებულებები

10.5. მიიღება დასაბუთებული გადაწყვეტილება

10.6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს

თავი VI. ინსტიტუციური რეპუტაციის დაცვა

მუხლი 11. რეპუტაციის დაცვა

აკრძალულია:

11.1. ცრუ ინფორმაციის გავრცელება კოლეჯის შესახებ;

11.2. თანამშრომლის მიზანმიმართული დისკრედიტაცია;

11.3. ინსტიტუციური პროცესების საჯარო დესტრუქციული ინტერპრეტაცია.

თავი VII. უსაფრთხოების უზრუნველყოფა

მუხლი 12. უსაფრთხოების ზომები

12.1. კოლეჯი უფლებამოსილია გამოიყენოს დაცვის სამსახური;

12.2. სამართალდარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია სამართალდამცავი ორგანოს გამოძახება;

12.3. ვიდეომონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს კანონმდებლობის შესაბამისად;

12.4. უსაფრთხოების წესების დარღვევა წარმოადგენს მძიმე გადაცდომას.

თავი VIII. მტკიცებულების სტანდარტი

მუხლი 13. მტკიცებულება

დისციპლინური პასუხისმგებლობა ეფუძნება:

13.1. ფაქტობრივ გარემოებებს

13.2. წერილობით მტკიცებულებებს

13.3. მოწმის ჩვენებას

13.4.ვიდეოჩანაწერს

13.5. სხვა დასაშვებ მტკიცებულებას

თავი IX. დასკვნითი დებულებები

მუხლი 14.

კოდექსში ცვლილებები და დამატებები შეტანილი იქნება დირექტორის ბრძანებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კოლეჯი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს შიდა მონიტორინგი კოლეჯის წესდების, შინაგანაწესის, ამ ეთიკის კოდექსისა და ადმინისტრაციული აქტების შესრულების საკითხებზე, კანონმდებლობის ფარგლებში;

დასკვნითი დებულებები

1. ეს ეთიკის კოდექსი ძალაში შედის ბრძანების წერილობით გაცნობის დღიდან.

2. ეთიკის კოდექსში ცვლილებები და დამატებები შეტანილი იქნება დირექტორის ბრძანებით, მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა დებულებების შესაბამისად.